სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები

ეს წესი არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დაგემვა

1.1 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და მათი შემუშავება შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიასთან;

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ხდება უნივერსიტეტის ფაკულტეტების/სკოლების აკადემიური პერსონალის მიერ;

1.3. ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა და სხვა;

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში უნივერსიტეტის ფაკულტეტის/სკოლის აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულნი უნდა იყვნენ მოწვეული პერსონალი (არსებობის შემთხვევაში), დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამა ახალია, მის შემუშავებაში უნდა იყვნენ ჩართულები მომიჯნავე დისციპლინის პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები) და ადმინისტრაციული პერსონალი (მათ შორის - ფაკულტეტის/სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი და სხვა).

1.5. პროგრამის შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები/ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო” და “სწავლის სფეროების კლასიფიკატორი”, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი”, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესი“, შესაბამისი სფეროს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში) (www.eqe.ge), „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭებისა და რეიტინგის განსაზღვრის წესი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ინსტრუქციები და პროგრამების/კურსების წარდგენის ფორმები (www.iliauni.edu.ge);

1.6. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები/უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები/გარე პარტნიორების ან დარგის ექსპერტების უკუკავშირი/დარგის სფეციფიკა/საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები;

1.7. პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციას და უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს; დამხმარე პერსონალის რაოდენობა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვა;

1.8. საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი/ები, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე, მის შეფასებასა და განვითარებაზე;

1.9. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმებს და უნდა ფასდებოდეს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;

1.10. შემუშავებული პროგრამა განსახილველად წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს. პროგრამას თან უნდა ახლდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმებით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა;

1.11. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროგრამის სრული პაკეტი და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა განსახილველად ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

1.12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პროგრამას და საკუთარ დასკვნას პროგრამის შესახებ განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

1.13. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობება შესაბამის ფაკულტეტს/სკოლას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

1.14. აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამის შესაბამისი დოკუმენტები, თვითშეფასების ანგარიშთან ერთად, წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აკრედიტაციის მიზნებისთვის.

1.15. სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს პროგრამა შესაძლებელია წარედგინოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ფარგლებში;

1.16. აკრედიტაციის პროცედურების გავლისა და პროგრამის აკრედიტაციის შესახებ აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღის გათვალისწინებით), შესაბამისი სკოლა/ფაკულტეტი უფლებამოსილია, აამოქმედოს საგანმანათლებლო პროგრამა.

2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ, მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ერთ კვირით ადრე;

2.2. ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირი, დარგის განვითარების ტენდენციები და სხვა;

2.3. პროგრამაში გასახორციელებელი ცვლილების საფუძველი შეიძლება აგრეთვე გახდეს საკანონმდებლო ცვლილებები;

2.4. პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელი/ები, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებული პირები. მიღებული გადაწყვეტილება, ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად, განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს;

2.5. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ინფორმაცია ცვლილების შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ყველა იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ცვლილების განხორციელებასთან;

2.6. იმ შემთხვევაში, თუკი ცვლილება ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას/აკადემიურ ხარისხს, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება განსახილველად ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურს. საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაში განსახორციელებული ცვლილებების შესახებ მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

2.7. პროგრამაში განხორიცელებული ცვლილებების სისტემატიზაციის მიზნით, ფაკულტეტი/სკოლა აწარმოებს მონაცემთა ბაზას, რომელშიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები შესაბამისი გადაწყვეტილებების (საბჭოს სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი) მითითებით.

3. **საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება**

3.1 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს საკანონმდებლო ცვლილებები ან პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი სუსტი მხარეები და რისკ-ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმცირე, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე სტუდენტთა მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა;

3.2 გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის/ების ინიცირებით და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით მიიღება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოზე;

3.3 ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;

3.4 გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიულ სამსახურებს, არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემაზე - „არგუსი“ პასუხისმგებელ პირს და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

3.5 იმ შემთხვევაში, თუკი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება “სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის” შესაბამისად.

4. **ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის (გეგმის) შემუშავება**

4.1. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის (გეგმის) შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

4.2. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებზე, მათ აკადემიურ მომზადებაზე და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს;

4.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა;

4.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა/მეურვემ ინდივიდუალური პროგრამის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტს/სკოლას. სტუდენტის/მეურვის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მისი შემუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვის განვითარების ინსტიტუტი“, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის ან/და დამატებითი შეფასების/კონსულტაციის საფუძველზე ადასტურებს/ადგენს სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებს და ფაკულტეტთან/სკოლასთან ერთად შეიმუშავებს ამ საჭიროებებზე მორგებულ ინდივიდუალურ გეგმას.

4.5. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც;

4.6. “4.5“პუნქტით გათველისწინებულ შემთხვევებში, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცებისას გათვალისწინებული უნდა იყოს “სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესში” განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები;

4.7. ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის სამსახურის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭო ან დეკანი.